20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

23/08/2024 N 332

თბილისი

შპს „ფავნის“ (ს/ნ: 405154871) ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 48^2 მუხლის პირველი პუნქტის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 48^1 მუხლის მე-2 პუნქტის და „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 5 ივნისის №144/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე:

1. მოვალის გაკოტრებულად გამოცხადებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 ივნისის განჩინების საფუძველზე, შეწყდეს შპს „ფავნის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405154871) ლიკვიდაციის პროცესი და ლიკვიდატორის თანამდებობიდან გათავისუფლდეს ნინო მძინარიშვილი (პირადი ნომერი: 01023004698);
2. ეს განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს;
3. ეს განკარგულება 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს ეროვნული ბანკი